ლიბერთი ბანკი
საგადახდო დავალება # 92
თარიღი 2016 წლის 30 მაისი

1

| | |
|---|---|
| გადამხდელის დასახელება: | სსიპ ქალაქ თბილისის N89 საჯარო სკოლა |
| გადამხდელის ანგარიში | GE09LB0121130224551000 |
| გადამხდელის ბანკი: | სს "ლიბერთი ბანკი" |
| ბანკის კოდი | LBRTGE22 |

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა

| | |
|---|---|
| დასახელება: | სსიპ ქალაქ თბილისის N89 საჯარო სკოლა |
| საიდენტიფიკაციო კოდი/ პირადი ნომერი: | 206031710 |
| მიმღები დასახელება: | ი/მეწარმე ნინო სამხარაძე |
| მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: | GE69BR0000010854767493 |
| მიმღების ბანკი/ხაზინა | სს " ბანკი რესპუბლიკა" |
| ბანკის კოდი | REPLGE22 |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | |
| გადახდის დანიშნულება: | აუდიტორული მომსახურება |
| დამატებითი ინფორმაცია: | |
| ხელმოწერა: | |

ბ.ა.

GEL
70.00

სამოცდაათი ლარი 00 თეთრი

ბანკის აღნიშვნები

შესრულების თარიღი:
30-05-2016

ბანკში შემოსვლის თარიღი:
30-05-2016

ლიბერთი ბანკი LB
4
ხელმოწერა:
LBRTGE22

შტამპის ადგილი

56

# მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება № 5/29

ქ.თბილისი

24 მაისი 2016 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ქალაქ თბილისის N89 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მიმოზა ტყებუჩავას სახით და მეორეს მხრივ, დამოუკიდებელი აუდიტი ნინო სამხარაძე (შემდგომში - მიმწოდებელი) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

1.1 ხელშეკრულების საგანია ვაუჩერული დაფინანსებით ინვენტარის მდგომარეობის შეფასების აუდიტორული დასკვნა (CPV79212000) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება**

შესასრულებელი სამუშაოს საერთო ღირებულება შეადგენს 70 (სამოცდაათი) ლარს და მოიცავს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

**მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება**

3.1 შესრულებული სამუშაო ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ- შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული პირი.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება შესრულებული სამუშაოს შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი ) სამუშაო დღის განმავლობაში.

**მუხლი 4. სამუშაოს შესრულების ადგილი და ვადა**

4.1. სამუშაოს შესრულების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი - ქ. თბილისი, ქ. წამებულის 40

4.2. სამუშაო უნდა შესრულდეს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

**მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის მონიტორინგი;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

...ლი ვალდებულებები;

...) სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე უზრუნველყოს უხარისხოდ ...შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება. კერძოდ:

1 ინვენტარის მდგომარეობის შეფასების აუდიტორული დასკვნის მომზადება

**მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები**

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ - ქალაქ თბილისის №89 საჯარო სკოლის დირექტორი მიმოზა ტყებუჩავა.

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე შესრულებული სამუშაოს ხარისხის შემოწმებას.

**მუხლი 7. პირგასამტეხლო**

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს და შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 8. ფორსმაჟორი**

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების შექმნის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

**მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

...თველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**მუხლი 10. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი**

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

**მუხლი 12. სხვა პირობები**

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

**მუხლი 13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები**

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
|---|---|
| სსიპ - ქალაქ თბილისის №89 საჯარო სკოლა<br>მის. : ქ. თბილისი, ქ. წამებულის 40<br>ს/კ 206031710<br>საბანკო რეკვიზიტები:<br>ს/ს „ლიბერთი ბანკი“<br>ბანკის კოდი LBRTGE22<br>ა/ა GE09LB0121130224551000 | ინდ მეწარმე ნინო სამხარაძე<br>ს/კოდი 01019009848<br>საბანკო რეკვიზიტები<br>კოდი: REPLG22<br>ბანკი რესპუბლიკა<br>ანგარიშის ნომერი<br>GE69BR0000010854767493<br>7577730173 |
| დირექტორი<br>(ხელმოწერა) ბ.ა | დირექტორი<br>(ხელმოწერა) |

# მიღება-ჩაბარების აქტი №29

ქ. თბილისი 25 მაისი 2016 წელი

ჩვენ ქვემო ხელის მომწერნი ერთის მხრივ შემსყიდველი ქ.თბილისის №89-ე საჯარო სკოლის დირექტორი მიმოზა ტყებუჩავა, ხოლო მეორეს მხრივ ინდმეწარმე ნინო სამხარაძე მხარეთა შორის 24.05. 2016 წ №5/29 ხელშეკრულების შესაბამისად, ამ აქტით ვადასტურებთ, რომ მიმწოდებელმა შეასრულა, ხოლო დამკვეთმა მიიღო შემდეგი დასახელების შესრულებული მომსახურება

| № | დასახელება | განზომილებების ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი | საერთო |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ინვენტარის მდგომარეობის შეფასების აუდიტორული დასკვნა | მომსახურება | | | 70 |
| | ჯამი | | | | 70 |
| | | | | | |
| | | | | | |

მივიღე ჩავაბარე